





The European Union
for Georgia
ENPARD



ENPARD III მესტია



Research

22 ივნისს, მესტიამ უმასპინძლა სვანეთის განვითარების ორი დიდი პროექტისა და საზოგადოებრივი ღონისძიების, ლოზუნგით „ევროკავშირი სვანეთში“, ოფიციალურ გახსნას. პროექტები, რომლებიც მოიცავს ENPARD III მესტიასა და GRETA-ს, დაგეგმილი და მხარდაჭერილია ევროკავშირის, შვედეთის საელჩოსა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მიერ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროკავშირის, ქეა ავსტრიის, ავსტრიის განვითარების ფონდის, შვედეთის საელჩოსა და ქეა კავკასიის დელეგატები.

ლევან დადიანმა, ქეა ავსტრიის ENPARD III მესტიის პროექტის მენეჯერმა, წარადგინა პროექტის, ამ დრომდე, მიღწეული შედეგები და ისაუბრა დაგეგმილ აქტივობებსა და მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სამომავლო შესაძლებლობებზე: **“ყველაფერი, რაც განვითარებისთვის ხორციელდება უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივ და ეროვნულ თანხმობას, შესაბამისად, უნდა ასახავდეს მოსახლეობის შეხედულებებს.”**

რობერტ ვოფსბურგერმა, ქეა ავსტრიიდან, ხაზი გაუსვა ENPARD III მესტიის პროექტის მონაწილეობით ხასიათს და ქვეყიდან-ზევით მიდგომას. ასევე აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას, ადგილობრივი განვითარების ჯგუფში გაწევრიანებით, შესაძლებლობა აქვს განსაზღვროს და განიხილოს საკუთარი საჭიროებები და პრიორიტეტები. მან ასევე ხაზი გაუსვა ქალთა როლს ეკონომიკურ განვითარებაში: **“ქალები არა მარტო ფულს ხარჯავენ, ისინი ინვესტირებან აკეთებენ კაპიტალში...ისინი ყურადღებით იწყებენ საქმიანობას და ინვესტირებან თავიანთი ოჯახებისა და შვილების მომავალში დებენ.”**



ENPARD III

საბაზისო კვლევის შედეგები

პროექტის მიზნის მისაღწევად, ქეამ, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან (CRRC) ერთად ჩაატარა საბაზისო კვლევა და გენდერული პოლიტიკური ეკონომიკის ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავდა მესტიის მუნიციპალიტეტში 3 ფართო სფეროს შესწავლას: ინკლუზიური მამრთველობა, საბაზისო სერვისებზე წვდომა და ბაზარი. ასევე, შეგროვდა მონაცემები მესტიაში გენდერული როლებისა და საოჯახო პასუხისმგებლობის შესახებ. საბაზისო კვლევამ გამოავლინა გენდერულ სიტუაციასთან, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიერ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული შედეგები.

მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს:

<http://carecaucasus.org.ge/download.php?filename=leaf1>



LEADER-ის მიდგომის მთავარი აზრი, მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის, რა არის მათთვის უკეთესი. უყურეთ LEADER-ის შესახებ ვიდეოს და გაიგეთ, რა მნიშვნელობა აქვს მას მესტიის განვითარებისთვის.

დასრულდა თემის მობილიზაცია და საჭიროებების პრიორიტეტების განსაზღვრა

ევროკავშირის მხარდაჭერით, დასრულდა ENPARD III მესტიის პროექტის სათემო მობილიზაციის ფართომასშტაბიანი მონაწილეობითი პროცესი, რომელიც მოიცავდა სათემო შეხვედრებსა და ადგილობრივი საჭიროებების განსაზღვრას მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ერთად. მისი საშუალებით მოხდება მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შექმნა, რაც LEADER მიდგომის ნაწილს წარმოადგენს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში, ქეამ და PMC-RC გუნდმა 16 შეხვედრა გამართეს მესტიის მუნიციპალიტეტის თემებთან. პროცესს თემის 100-ზე მეტი წევრი ესწრებოდა. პირველ ეტაპზე, მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო ტრენინგებს და გაეცნო პრობლემათა ხის შექმნის მეთოდოლოგიას, რომელიც პრობლემებისა და მათი გამომწვევი ძირეული მიზეზების გამოვლენაში დაეხმარებოდა. მომდევნო ეტაპზე მათ შექმნეს „პრობლემათა ხეები“ და გამოავლინეს ძირითადი საკითხები, პრიორიტეტული სფეროების მიხედვით. ბოლოს კი, მონაწილეებმა შეავსეს კითხვარები პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

სათემო მობილიზაციის პროცესი თემის სხვადასხვა ჯგუფს მოიცავდა, მათ შორის ქალებს, ახალგაზრდებს, დევნილებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ან შინამეურნეოების წარმომადგენლებს, რომლებსაც შშმ პირები ჰყავთ ოჯახში (8%), და სოციალურად დაუცველი შინამეურნეობის წარმომადგენლებს.

მომდევნო თვეებში, იგეგმება კომბინირებული ტერიტორიული ანალიზი, რათა შემდგომში ჩაერთონ თემის წევრები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რესურსების, დაინტერესებული მხარეების, პროგრამების, პოლიტიკისა და ადგილობრივი პროექტების დაგეგმვის პროცესებში.

გაიგეთ მეტი ENPARD პროგრამის შესახებ: <http://enpard.ge/ge/>

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სოციალური მობილიზაციისა და შესაძლებლობების განვითარების გზით (WEE)

2019 წლის 1 მაისიდან კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი (KRDF), ფონდი ტასო და ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE) ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით იწყებენ 26-თვიან პროექტს. პროექტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, რეგიონული პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში.

პროექტი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- **სამიზნე თემთა შერჩევა სოციალური მობილიზაციის პროგრამის განსახორციელებლად**, რომელიც მოიცავს პროექტის საპრეზენტაციო შეხვედრებსა და თვითდახმარების ჯგუფების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.
- **პროექტის საგანმანათლებლო და უნარების განვითარების პროგრამა**, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს: ადამიანის უფლებები; ქალთა ლიდერობა; გენდერულ ბიუჯეტირებაში მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად; კომპიუტერული პროგრამები; მცირე ბიზნესის ჩამოყალიბება, რეგისტრირება, მართვა და საგადასახადო ვალდებულებები; სამსახურის ძიების უნარები და სხვ.
- **საგრანტო პროგრამა**, რომელიც გულისხმობს სამიზნე ჯგუფის მხარდაჭერას სახელმწიფო ან სხვა დონორთა საგრანტო პროგრამებში მონაწილეობისათვის (საკუთარი წვლილის შესამცირებლად) და მხარდაჭერა პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების მიზნით.
- **რეგიონული კომპონენტი**, რომელიც გულისხმობს ქალთა განათლების ხელშეწყობის, დასაქმების და ეკონომიკური გაძლიერების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და კავშირების უზრუნველყოფას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანელი ქალებისათვის.



სოციალური მობილიზაცია დაიწყო ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში: ორგანიზაციები ხვდებოდნენ ადგილობრივ ქალებს, რათა ჩამოყალიბებინათ თვითდახმარების ჯგუფები.

პროექტის სამიზნე არეალი:

- კახეთი: თელავის, ახმეტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები.
- ქვემო-ქართლი: მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები.
- სამცხე-ჯავახეთი: ასპინძის, ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები.

ზოგადად, სოფლად მცხოვრები ქალები, უფრო მცირე უფლებებით სარგებლობენ ვიდრე კაცები, ქალაქში მცხოვრები ქალები, ან მამაკაცები, რომლებიც საყოფაცხოვრებო საქმეებს უძღვებიან, სათემო ან სტრუქტურულ დონეზე. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა მოწყვლადი ჯგუფების კუთხით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები, ემიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც უფრო მეტად არიან დაზარალებულნი სიღარიბითა და შესაძლებლობების ნაკლებობით. რეგიონებში მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოწყვლადობა ეხება ქალებსა და შშმ პირებსაც. ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენლები საქართველოში, რომლებიცორმაგი დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის წინაშე დგანან არიან ქალები - ადრეულად დაქორწინებულები, სოციალური დახმარების მქონე ქალები და მარტოხელა დედები. ქალთა ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია ტრადიციული სოციალური როლებისა და მოლოდინების გათვალისწინებით. სხვები შეზღუდულნი არიან ისეთი გამოწვევებით, როგორიცაა უნარ-ჩვევები და ინფორმაცია შრომითი შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, ყველა ქალი აწყდება სტრუქტურულ ბარიერებს ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. ქალების უმრავლესობამ არ იცის თავიანთი უფლებების, მათ შორის შრომითი უფლებებისა და სოციალური უსაფრთხოების საჭიროების შესახებ.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პროექტი სკოლებში

New World Program - ისა და კოკა-კოლას ფონდის მხარდაჭერით, ქვა, საქართველოს სამედიცინო ჯგუფთან ერთად ახორციელებს WASH-ის პროექტს გურიისა და აჭარის რეგიონებში. პროექტის მიზანია, აღნიშნული რეგიონების სკოლებში უსაფრთხო წყლისა და სანიტარული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინკლუზიური თემზე დაფუძნებული მიდგომით. გარდა ამისა, ის აძლიერებს ქალებსა და ახალგაზრდებს განათლების დონის გაუმჯობესებით.



WASH-ის პროექტი საქართველოს სკოლებში მიზნად ისახავს:


- ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- WASH - ის კომიტეტების დაფუძნებით, მდგრადი მმართველობითი მექანიზმის ჩამოყალიბება სოფლად;
- ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება თემებში, რათა ხაზი გაესვას სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის სარგებელს;
- სკოლების შესაძლებლობების გაუმჯობესება მასწავლებელთა გადამზადებისა და სასწავლო მასალების მეშვეობით;
- WASH მოდელის დახვეწა და მოდელის გავრცელება საქართველოს მასშტაბით
- ქალებისა და გოგონების უნარების განვითარება და მათი ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერება.

- გურიისა და აჭარის 4 სკოლაში დაიწყო სარეაბილიტაციო პროცესი და დასრულდება 2019 წლის ოქტომბერში.
- თითოეულ სკოლაში შეიქმნა WASH კომიტეტები.
- 818 მოსწავლესა და თემის სხვა წევრებს აუმაღლდათ ცნობიერება WASH სწორი პრაქტიკის შესახებ.
- 40-მა მოსწავლემ და 40-მა მასწავლებელმა განავითარეს უნარები და შესაძლებლობები, რათა გააგრძელონ WASH-ის სწავლება თანატოლებში.
- ქალებმა და გოგონებმა განავითარეს ლიდერობის უნარები. ისინი პროექტის მონაწილეების უმრავლესობას წარმოადგენენ.
- WASH-ის მასწავლებლებისა და ლიდერების 75% -ს ქალები და გოგონები წარმოადგენს.



„კოოპერატივების ფონდი“

„კოოპერატივების ფონდი“ დაარსდა 2017 წელს, ქეას მიერ, ENPARD პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბაზაზე. მისი მიზანია, დაეხმაროს საქართველოში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ბიზნესის განვითარებაში, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით. გარდა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისა, ფონდი აქტიურად ასწავლის კოოპერატივებს, მათ გამოყენებასაც. ამჟამად, „კოოპერატივების ფონდი“ ემსახურება 31 სოფლის მეურნეობის კოოპერატივს, რაც მოიცავს 500 ფერმერს 15 სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვიდან.



The Cooperative Fund

ჩვენი მიზნები

- მცირე რესურსების მქონე ფერმერული მეურნეობების კომერციულად მდგრად ბიზნესად გარდაქმნა;
- მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ინოვაციური მიდგომებისა და კლიმატ მეგობრული სოფლის მეურნეობის დანერგვა;
- კოოპერატივების სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა



ევროპის დღე

22 ივნისს, „კოოპერატივების ფონდი“-ს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს დაბა მესტიის გამართულ ღონისძიებაში „ევროკავშირი სვანეთში“. კოოპერატივებს შესაძლებლობა მიეცათ მოწვეული სტუმრებისთვის წარედგინათ თავიანთი პროდუქცია და ინფორმაცია მიეწოდებინათ მათი ბიზნეს საქმიანობის შესახებ. ღონისძიებაზე გამოფენილი იყო შემდეგი კოოპერატივების პროდუქცია: „ფერმერი 2015“, „გურიის თხილი“, „ნერგები“ (გურია), „ნერგები“ (ცაგერი), „დოღურაში“ და „ოცნება“. გარდა ამისა, ეს ღონისძიება იყო ერთ-ერთი შესაძლებლობა „კოოპერატივების ფონდი“-სთვის, გაეზიარებინა მისი ინოვაციური იდეა ფართო მასებისთვის. „კოოპერატივების ფონდი“-ს ძირითადი მიზანია დაეხმაროს მის წევრ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ბიზნესის განვითარებაში, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით.

ჩვენი მიდგომა:

ფინანსებისა და სწავლების კომბინაცია - ფონდი უზრუნველყოფს კოოპერატივებს ფინანსური რესურსებით და ამ რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის საჭირო ცოდნით.

წვერი კოოპერატივების საჭიროებების დაკმაყოფილება - ფონდი ფოკუსირდება თავისი წევრების ფინანსურ კეთილდღეობაზე და არა მოგების მიღებაზე.

დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება - წვერი კოოპერატივები ერთდროულად არიან ფონდის მფლობელები და მომხმარებლები. ისინი ახორციელებენ ფონდის რესურსების კონტროლს და იყენებენ მას საკუთარი ბიზნესების განვითარებისთვის.

შეხვედრა ფერმერებთან

2 აპრილს კოოპერატივების ფონდმა პირველი შეხვედრა გამართა ფერმერებთან, თემაზე: „თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოცდილი მიდგომები სოფლის მეურნეობაში“. ღონისძიების მიზანი იყო თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სოფლის მეურნეობაში უკვე არსებული მეთოდების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ასევე, ფერმერებსა და სერვისის მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

გაიგეთ მეტი პროექტის შესახებ: <https://www.facebook.com/TheCooperativeFund/> ან <http://socialmarket.ge/>

LEADER-ის მიდგომა ლაგოდეხში

როგორც ENPARD-ის სოფლის განვითარების პროექტის (II ფაზა) გაგრძელება, ქეა ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს: "სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში" (RDP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს სოფლის განვითარების **ქვევიდან-ზევით მიდგომა** (LEADER), რაც ხელს შეუწყობს ლაგოდეხის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჩართულია მუნიციპალიტეტისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ის ასევე, ხაზს უსვამს **სექტორულ მიდგომას** - ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს, რაც მხარს უჭერს სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას, ნდობას, პასუხისმგებლობის გაზიარებას და სხვადასხვა ინტერესების წარმოჩენას საერთო მიზნის მისაღწევად.

„ყოველთვის ეფექტურია ისეთი პლატფორმის არსებობა, სადაც ყველა სექტორის წარმომადგენელს შესაძლებლობა ექნება შეიკრიბოს და იმსჯელოს მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ მოხდება ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა, კოორდინაცია, ახალი გადაწყვეტილებების მიღება და სწორი დაგეგმვა“ - გიორგი ბოკერია, ლაგოდეხის ლაგის პრეზიდენტი.

პროექტის მაჩვენებლები

საგრანტო კონკურსი დასრულდა

საგრანტო კონკურსის II ფაზაში წარდგინდა 200-ზე მეტი წინადადება, აქედან 59 მეორე ეტაპზე გადავიდა. ექსპერტის კონსულტაციების მიხედვით, LAG-მა დააფინანსა 30 ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური ინიციატივა, მათ შორის სოფლისა და ტურიზმის განვითარების, სოციალურ-ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი და სხვა ბიზნეს პროექტები. შედეგად, **დამატებითი შეიქმნა 131 მოდელი და 141 სეზონური სამუშაო ადგილი.**

ახალგაზრდობის საჭიროების კვლევა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ორგანიზაცია საგა-ს მიერ ლაგოდეხში ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა ჩატარდა. გამოიკითხა 14-დან 35 წლამდე ასაკის 1000 ახალგაზრდა (მათ შორის ნახევარზე მეტი ქალი). გამოვლინდა მათი საჭიროებები, პრობლემები და ინტერესები. მიღებული შედეგების საფუძველზე, შემუშავდება **პრობლემათა გადაჭრის 5 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**, რომელიც ლაგოდეხის განვითარების სტრატეგიაში იქნება ასახული.

LAG-ის დამოუკიდებელი გენდერული პროექტი

ლაგ-ის გენდერული ჯგუფი ახორციელებს **პირველ დამოუკიდებელ პროექტს**, რომლის მიზანია ქალთა საჭიროებების კვლევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერულ საბჭოსთან ერთად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების ჩართვას პროექტის აქტივობებში. ინიციატივის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს „ქალთა ფონდი“ საქართველოში.

ლაგოდეხის პოზიტიური მშობლობის პროექტის განახლება

პოზიტიური მშობლობის პროექტი მიზნად ისახავს აღზრდის სწორი პრაქტიკის დანერგვით, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობის სწორ პიროვნულ განვითარებას, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

პროექტის სამიზნე ჯგუფია მშობლები, რომლებიც მეტ ინფორმაციას იღებენ ბავშვების განვითარების ეტაპზე, ასაკობრივ კრიზისებზე და მათი დამლევის გზებზე. მნიშვნელოვანია სკოლისა და ბაღის მასწავლებლებთან მუშაობაც, ვინაიდან ოჯახიდან გამოსული ბავშვები სხვადასხვა სივრცეებში ხვდებიან.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განახლება

სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდასაჭერად, ლაგ-ი წელიწადში ერთხელ, მოსახლეობასთან მრავალჯერადი საჯარო კონსულტაციების შედეგად, **ანახლებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას**. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, პროექტისა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდება ლაგოდეხის ტყე-პარკის განვითარების გეგმა, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს პარკის ინფრასტრუქტურისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებას. აღნიშნული გეგმა, ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევასთან ერთად აისახება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განახლებულ ვერსიაში.

ლაგოდეხის ლაგ-ი ლატვიელ და ქართველ პარტნიორებთან ერთად ტრანსნაციონალურ პროექტს ახორციელებს

ლაგოდეხის ლაგ-მა ლატვიისა და ბორჯომის ლაგ-ებსა და საცხენოსნო ბიზნესის წარმომადგენლებს უმასპინძლა! ვიზიტი განხორციელდა ბორჯომის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროსა და ლატვიის ლაგ-ებს შორის ოთხმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს საცხენოსნო ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კავშირების დამყარების გზით. მომდევნო ვიზიტი დაგეგმილია ლატვიაში, სადაც ქართველი და ევროპელი პარტნიორები ტრანსნაციონალური თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე იმსჯელებენ.

ეკას ისტორია

„თავო დაუნის სინდრომით დაავადებული გოგონაა, რომელიც ცენტრში მოსვლამდე არავის უნახავს გარეთ გასული. სახლშიც კი, როცა სტუმარი მიდიოდა, ცალკე ოთახში იკეტებოდა. ახლა ის ჩემი დღის ცენტრის „ოფისის მენეჯერია“.



ეკა: „ბავშვებისგან ვიღებთ ძალიან ბევრს, რაც მთავარია დადებით ემოციებს“

ლაგოდების მუნიციპალიტეტში და მის მიმდებარე სოფლებში შშმ ბავშვების ადაპტაციის დიდი პრობლემაა. ეს კი, პირველ რიგში, საზოგადოებაში არსებული სტიგმიდან მოდის, რომელიც შშმ პირებს და მათ შესაძლებლობებს ეხება. ბევრ მშობელს ბავშვი სკოლაში არ დაყავთ, რადგან ისინი მათ განსხვავებულად თვლიან და არ უნდათ დაცინვის ობიექტები გახდნენ. გარდა ამისა, თავად შენობები არ არის ადაპტირებული შშმ ბავშვებისთვის, ასევე ნაკლებია კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობა, რომლებმაც იციან თუ როგორ მიუდგნენ შშმ ბავშვებს და როგორ შეიტანონ წვლილი მათ განვითარებაში. სწორედ ასეთმა სავალალო ვითარებამ უზიძგა ეკას გაეხსნა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი, სადაც ხდება შშმ 6-18 წლამდე ბავშვების ფუნქციური უნარების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, მათი აკადემიური უნარების კვლევა, შესაბამისად გაძლიერება და შემდეგ მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. ქვამ, ევროკავშირის მხარდაჭერით, დიდი როლი ითამაშა დღის ცენტრის გახსნაში.

2016 წლიდან ეკას იდეა გაუჩნდა ლაგოდებში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის შეექმნა სერვისი, სადაც ისინი შეძლებდნენ თუნდაც სახლიდან გამოსვლას, სწავლას, თავმოყრასა და მეგობრების გაჩენას.

„მიუხედავად იმისა რო შშმ პირების უფლებების გაუმჯობესების მხრივ წინსვლა აღინიშნება, ბევრი გამოწვევა არის ამ კუთხით, მითუმეტეს ეს რეგიონებსა და სოფლებში. როდესაც ამ პროექტზე ფიქრი დავიწყე, უზრალოდ მოვიძიე ინფორმაცია სტატისტიკურად რა მდგომარეობა იყო ლაგოდების მუნიციპალიტეტში. აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებულია 1268 შშმ პირი. აქედან 250 იყო 6-18 წლამდე ბავშვი. ეს საკმაოდ დიდ ციფრად მეჩვენა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სახლში არიან და არ არიან აღრიცხვნილები“.

ქვას დაფინანსებით ეკამ, შენობა გაარემონტა და აღჭურვა საჭირო ინვენტარით. ამასთან ერთად, ეკა ჩაერთო ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის ქვეპროგრამაში, რაც მის ორგანიზაციას ძალიან დაეხმარება ფინანსური კუთხით.

მარინას ისტორია

„ლაგოდებში აქტიური ქალებისთვის მაგალითი გავხდი“ - მარინას საოჯახო სასტუმროს წარმატების ისტორია

მარინამ საკუთარი ბიზნესის, „კივის სახლი“, წამოწყება 2007 წელს დაიწყო, ორი ოთახის აშენებით. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მარინა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს, ორ ბავშვთან ერთად მარტო დარჩა. სასტუმროს მოწყობისთვის კი შესაბამისი რესურსები არ გააჩნდა.

მარინამ მეგობრისგან შეიტყო ENPARD-ის სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარე საგრანტო კონკურსის შესახებ. ტრენინგებსაც დაესწრო თავის ქალიშვილთან ერთად და ბიზნეს გეგმაც დაწერა:

„5 დღე ვსწავლობდით ბიუჯეტირებას და განაცხადის წერას. იმდენად საინტერესო იყო, რომ მე და ჩემი შვილი ვფიქრობდით, რომ არ მოგვევო, ეს მაინც კარგი გამოცდილება იქნებოდა ჩვენთვის. ამან დიდი სტიმული მომცა“.

ევროკავშირისა და ქვას მხარდაჭერის შედეგად, მარინამ ახალი ავეჯი მიიღო თავისი სასტუმროსთვის, რაც მას ასე სჭირდებოდა: სასადილო მაგიდები და სკამები, ერთგვაროვანი ჭურჭელი, ტელევიზორები, კონდიციონერები, საძინებლის მოწყობილობა. ახლა მისი ოთახები სტანდარტებს აკმაყოფილებს და კეთილმოწყობილია მომავალ სეზონზე ტურისტების დასახვედრად.



მარინას ბიზნესის განვითარება მხოლოდ მისი წარმატება არ არის. „აქ მხოლოდ მე არ ვარ. მუდმივად ვასაქმებ რამდენიმე ადამიანს: სამზარეულოში, ბაღში, მძღოლს. ამიტომ, რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს დახმარებას და გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, სამუშაო ადგილებიც გაიზრდება“. მარინა ახლა ხილის ბაღის გაშენებას და კაფის გახსნას გეგმავს, რაც აქ დასაქმებული ადამიანების რაოდენობას გაზრდის.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მარინა ახლა გრძნობს, რომ მისი საქმიანობა ლაგოდებში მცხოვრები ქალებისთვის სტიმულია: „ევროკავშირის, რომ მაგალითი გავხდი სხვებისთვის. მეკითხებიან პროექტის შესახებ, ჩემი საქმიანობის შესახებ. ყველას უფრჩევ, მიჰყვნენ თავიანთ მოწოდებას, იყვნენ აქტიურები და ყველაფერი გამოუვათ“.

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

geoinfo@care.org

თბილისი.

შალვა ნუცუბიძის ქ.#14ბ

(+995 322) 29 13 78

<http://care-caucasus.org.ge/>

<https://www.facebook.com/CAREInternationalintheCaucasus/>

ქეა საერთაშორისო კავკასიაში მისწრაფის იმედიანი, ტოლერანტული და სამართლიანი სამყაროს ჩამოყალიბებისკენ, სადაც სიღარიბე დამღეულია და ადამიანები ღირსეულად და უსაფრთხოდ ცხოვრობენ. ჩვენი მისიაა, დავეხმაროთ კავკასიის ყველაზე ღარიბ თემებში მცხოვრებ მოსახლეობას, რათა მათ ღირსეულად შეძლონ სიღარიბის დამღევა. ჩვენს ხელთ არსებული მრავალფეროვანი გამოცდილებისა და რესურსების გამოყენებით, ჩვენ მზარს ვუჭერთ ინოვაციურ მიდგომებს და ვაძლიერებთ პარტნიორი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას. ჩვენ ვითვალისწინებთ ადგილობრივი თემების მისწრაფებებს და ვახორციელებთ ჩვენს მისიას მაქსიმალური ძალისხმევითა და თანაგრძნობით.